საქართველოს მთავრობის

დადგენილება №113

2020 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2019, 190020010.10.003.021668) შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„**მუხლი 4^1.** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას ამ დადგენილებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას ხელს აწერენ მხოლოდ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელის მოადგილე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილია იმ უწყების ხელმძღვანელის-/ხელმძღვანელის მოადგილის მიერ, რომლის სისტემაშიც/მმართველობის სფეროშიც შედის ეს შემსყიდველი ორგანიზაცია. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია არ განიხილავს ამ წესის დარღვევით წარდგენილ დოკუმენტაციას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**